

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის
ტერიტორიაზე
შპს „გია“-ს ავტოგასამართი სადგურის ნავთპროდუქტების
საცავის მოწყობა-ესპლოატაციის პროექტზე**

სკრინინგის განცხადება

შემსრულებელი: შპს „სამნი“-ს დირექტორი
თეიმურაზ კვპულაძე
ტელ.: 5 91 15 72 72
E-mail: ltdsamni@gmail.com

შპს „გია“
იოსებ ზარნაძე
ტელ.: 5 99 71 66 82
E-mail: gigo.kapanadze@gmail.com

ქუთაისი - 2023

შინაარსი

1. ზოგადი ცნობები	3
2. ობიექტის განთავსება.....	4
3. ინფრასტრუქტურის ელემენტები	11
4. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები.....	17
5. წყალმომარაგება კანალიზაცია	17
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში	20
6.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.	20
6.2. ხმაურის ზემოქმედება.	21
6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე.....	22
6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე	23
6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	24
6.6. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედება.....	24
6.7. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	25
6.8. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.....	25
6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	26
6.10 კუმულაციური ზემოქმედება.	26
6.11. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.	26
6.12. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	27
6.13. ავარიული სიტუაციები.	27
და ნ ა რ თ ე ბ ი.....	31
დანართი1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	32
დანართი 2. მერიის წერილი	34
დანართი 3. ელდანადგარების, მეხამრიდებისა და დენმიმღები მოწყობილობების დამცავი დამიწების ბუდისა და კონტურის ლაბორატორიული შემოწმება.....	35
დანართი 4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 12 დეკემბრის N28.282235611 ბრძანება შპს „გია“-ს უნებართვო მშენებლობის წარმოებისათვის დაჯარიმების შესახებ.....	37

1. ზოგადი ცნობები

შპს „გია“-ს (ს/კ 412684723) თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ტერიტორიაზე, საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 33.01.35.133) 2012 წელს მოწყობილი აქვს ბუნებრივი აირით გასამართი სადგური, რომლისთვისაც 2012 წლის 12 სექტემბერს და 2018 წლის 09 მარტს სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. ვინაიდან ობიექტი ფუნქციონირებდა 2018 წლის 01 იანვრამდე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48² მუხლის შესაბამისად არ დაექვემდებარა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

2022 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე დამატებით იქნა მოწყობილი თხევადი აირის 7 მ³ მოცულობის ავზი და თხევადი საწვავის (ბენზინი და დიზელი) სამი ავზი, ერთი დიზელის (სრული მოცულობა 19,08 მ³) და ორი ბენზინის (სრული მოცულობები 24,35 მ³ და 15,18 მ³), ჯამური მოცულობა-58,61 მ³.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 12 დეკემბრის N28.282235611 ბრძანებით შპს „გია“ უნებართვო მშენებლობის წარმოებისათვის დაჯარიმდა 1 000 ლარით (დანართი 4).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 3.5 მუხლის თანახმად 7მ³ მოცულობის თხევადი აირის საცავის მოწყობა არ ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

იმავე კანონის II დანართის 6.3 პუნქტის და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ნავთობისა და ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლოატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას და შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელის შესახებ მოცემულია ცხრილში №1.1.

ცხრილი №1.1.

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „გია“
საიდენტიფიკაციო კოდი	412684723
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ქუთაისი, ბუხაიძის ქ. II მიკრორაიონი N19/54
საქმიანობის განხორციელების მისამართი მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირი
საქმიანობის სახე	საწვავის რეალიზაცია
დირექტორი	იოსებ ზარნაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 71 66 82
E-mail	gigo.kapanadze@gmail.com
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი+“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეკულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72
E-mail	ltdsamni@gmail.com

2. ობიექტის განთავსება

შპს „გია“-ს ბუნებრივი აირით გასამართი სადგური მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფ. კვახჭირის ტერიტორიაზე, ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენაროს საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ნაკვეთის კოდი 33.01.35.133.

განსახილველი ტერიტორიის კუთხეთა წვეროების ნუმერაცია მოცემულია № 2.1 ნახაზზე, ხოლო GPS კოორდინატები მოცემულია №2.1. ცხრილში.



ნახაზი 2.1. ტერიტორიის წვეროების ნუმერაცია

წვეროს ნომერი	X	Y
1	312228	4673996
2	312201	4674041
3	312137	4673998
4	312168	4673957

ცხრილი №2.1. ტერიტორიის კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატები.

განსახილველი მიწის ნაკვეთის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია №2.2 და №2.3 ნახაზებზე.

საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება:

- დასავლეთიდან - ქუთაისი-ბაღდათი-ბენაროს საავტომობილო გზა (სურათი №2.1), გზის მეორე მხარეს (დასავლეთით) საცხოვრებელი სახლები (სურათი №2.2);
- სამხრეთიდან - სასაწყობო ფართი (სურათი №2.3);
- ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან - ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად (სურათი 2.4. და სურათი 2.5.).



სურათი 2.1.




სურათი 2.2



სურათი 2.3.



სურათი 2.4.



სურათი 2.5.

განსახილველი ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი გათავსებულია დასავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 35 მ-ით.

ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით 260 მ დაშორებით მდებარეობს ვისოლის აგს. უახლოესი ბუნებრივი წყლის ობიექტია მდ. წყალწითელა, რომელიც მიედინება ტერიტორიის აღმოსავლეთით და განსახილველი ნაკვეთიდან დაშორებულია 350 მ-ით. მდინარე წყალწითელასა და განსახილველ ნაკვეთს შორის, 22 მ-ის დაშორებით მდებარეობს რიონჰესის სადერივაციო (გამყვანი) არხი. მდ. რიონი დასავლეთითაა განთავსებული და დაშორებულია 850 მ-ით. ობიექტიდან სამხრეთით 1 040 მ დაშორებით მდებარეობს E60 ავტომაგისტრალი.

საპროექტო საწარმოს 500 მ-ან ზონაში (ნახაზი 2.4) დასავლეთით განთავსებულია სოფ. კვახჭირის საცხოვრებელი ზონა. ჩრდილოეთით 345 მ მანძილზე მდებარეობს რკინიგზის ხაზი. სამხრეთ-აღმოსავლეთით განთავსებულია სასაფლაო და საცხოვრებელი სახლები.



ნახაზი 2.2.



ნახაზი 2.3.



ნახაზი 2.4. 500მ-ანი ზონის საზღვარი

3. ინფრასტრუქტურის ელემენტები

ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურული ელემენტები დატანილია ნახაზი №3.1.-ზე და მოიცავს: ბუნებრივი აირით გასამართი კვანძს, სავაჭრო ობიექტებს, საოპერატოროს, თხევადი აირით გასამართ კვანძს, თხევადი საწვავით (დიზელი, ბენზინი) გასამართი კვანძს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მოცემულ ტერიტორიაზე 2012 წლიდან ფუნქციონირებს ავტომანქანების ბუნებრივი აირით გასამართი სადგური, რომელიც გათვლილია წელიწადში 33 000 ავტომობილის გამართვაზე. დამონტაჟებულია 40 ცალი შეკუმშული გაზის ბალონი ჯამური ტევადობით 640 მ³. ავტომობილების გამართვა ხდება ორ სვეტზე. თითოეული აღჭურვილია ორი განქრევის მილით (სურათი 3.1.).



სურათი 3.1.

2022 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე დამატებით იქნა მოწყობილი თხევადი აირის 7მ³ მოცულობის ავზი ერთი განქრევის მილით (სურათი 3.2.) და თხევადი საწვავის (ბენზინი და დიზელი) სამი ავზი, ერთი დიზელის (სრული მოცულობა 19,08მ³) და ორი ბენზინის (სრული მოცულობები 24,35მ³ და 15,18მ³), ჯამური მოცულობა-58,61 მ³ (ნახაზი 3.2 და ნახაზი 3.3, სურათი 3.3). აგს-ზე მოწყობილია ერთი გასამართი სვეტი. სვეტი აღჭურვილი იქნება ექვსი ონკანით (ფისტოლეტით), რომელთაგან ოთხი განკუთვნილი იქნება ბენზინისათვის, ხოლო ორი - დიზელისათვის. დაყენებულია სასუნთქი სარკველები (სიმაღლე 2,5 მ, დიამეტრი 5 სმ.)




სურათი 3.2.



სურათი 3.3. თხევადი საწვავის ავზები და სასუნთქი სარქველები.


ავტოგასამართი სადგურის საწვავით მომარაგება დაგეგმილია ავტოცისტერნების საშუალებით, რომლებიც განთავსდებიან ავტოცისტერნების ბაქანზე. ავტოტრანსპორტის სამომხროდ განკუთვნილი ტერიტორია მობეტონებულია. მოედნის პერიმეტრზე მოწყობილია არხი, რომელთა საშუალებითაც ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექები და ნავთობპროდუქტები შეიკრიბება და ჩაედინება სალექარში (ნახაზი №3.4.), საიდანაც გადავა საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში.

სალექარის საპროექტო წარმადობა შეადგენს 0,8 მ³/სთ. წმენდის ეფექტურობა შეწონილი ნაწილაკები 95%, ნავთობპროდუქტები 97-98%.



ნახაზი 3.1. გენ-გეგმა.



მიწისქვეშა სანაპიროს რეზერვუარების
განლაგების გეგმა
მ 1:100





დირექტორი პრ. ავტორი	<i>გ. ბილა</i> <i>გიორგი ბილა</i>	მ. ნოსელიძე მ. ნოსელიძე	დაგეგმით, მისამართი	შპს „ბიკ“ თბილისის რაიონი სოფელი კვანდირი	შ.პ.ს. „ნოსელიძე“ საკონსტრუქციო-სამშენობლო წილობა
			ობიექტის დასახელება	სრულყოფილი მრავალსართულიანი აბორიანების სახლის რეკონსტრუქცია	დაგეგმის №9
			ნახაზის სამართლები	მიწისქვეშა სანაპიროს რეზერვუარების განლაგების გეგმა	ფურცელი 66-1 მ 1:100 2022

ნახაზი 3.2.

ჭრილი I-I
მ 1:100




ჭრილი II-II
მ 1:100



ნახაზი 3.3.



სქემატიკა ტპ 101-15.64-88

ჭრილი 1-1 3:1:20



ბ ა ბ ბ ა

3:1:20



ბუნებრივი წყლის ჩამოვსის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ღრუბრების, სარის, ღრუბრის და კონსტრუქციის მოწყობის VI-34-76 4.15 და 2.04-4.85 3.38. სქემატიკა - ღრუბრების ბაბატი და ჭრილი უსაფრთხოების ტპ 101-15.64-88-ღრუ.

დირექტორი	<i>[Signature]</i>	მ. გულბერიძე	ინჟინერი, მისამართი	შპს „ბიკ“ თბილისის რაიონის სოფელი კახეთი	შპს „ნოსტალი“
პრ. ადვოკატი	<i>[Signature]</i>	მ. გულბერიძე			

ნახაზი 3.4. საღებავი

4. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები

დაგეგმილია აგს-ის ყოველდღიურად ფუნქციონირება, 360 დღე წელიწადში, 24 საათიანი რეჟიმით.

მომუშავეთა რაოდენობა იქნება 8 ადამიანი. აქედან 6 ოპერატორი, ერთი მენეჯერი და ერთი-დამხმარე. ყოველდღიურად იმუშავენ 4 ადამიანი.

წლის განმავლობაში ნავარაუდევია:

- ბუნებრივი აირით 33 000 ავტომობილის გამართვა;
- 100 ტ თხევადი აირის რეალიზაცია;
- 160 000 ლ ბენზინის რეალიზაცია;
- 200 000 ლ დიზელის რეალიზაცია.

ბუნებრივი აირით კვება ხდება გაზსადენის ადგილობრივი ქსელიდან, რომელიც სადგურს უერთდება 70 მმ დიამეტრის ლითონის მილით. თხევადი აირის, ბენზინისა და დიზელის შემოტანა ხორციელდება ავტოცისტერნებით.

5. წყალმომარაგება კანალიზაცია

ობიექტის წყალმომარაგებისათვის მოწყობილია ჭა (GPS კოორდინატები X-312157 Y-4674009), რომელზეც აღებულია წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N10001303. ჭაზე დაყენებულია წყალაღრიცხვის კვანძი და დალუქულია სათანადო ორგანოების ლუქით. მიწისქვეშა წყლის გამოყენება დაგეგმილია საწარმოო და სამეურნეო მიზნებისათვის, სასმელი წყლი შეძენილი იქნება მარკეტში.

წყალი გამოიყენება მუშა-მოსამსახურეთა, ასევე მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება მხოლოდ ტექნოლოგიურ მოედნზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ჩარეცხვის მიზნით. აღებული წყლის რაოდენობის აღრიცხვა ხორციელდება დამონტაჟებული მრიცხველის საშუალებით, სალიცენზიო პირობების შესაბამისად.

დღის განმავლობაში ობიექტის ტერიტორიაზე იქნება 4 თანამშრომელი, მათი საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება $4 \times 25 = 100$ ლ/დღე, $100 \times 360 \div 1000 = 36$ მ³/წელ. მოქალაქეთა სველი წერტილებით მომსახურებისათვის გათვალისწინებულია 150 ლ/დღეში წყლის გამოყენება. რაც წელიწადში შეადგენს 54 მ³-ს.

ობიექტის საყოფაცხოვრებო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 90 მ³/წელ.

საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება მოხდება ტექნოლოგიური მოედნის მოსარეცხად.

მოედნის რეცხვა გათვალისწინებულია დღეში ერთჯერ, მშრალ ამინდში. მოედნის ფართობი შეადგენს 80 მ²-ს. კვ.მეტრის მორეცხვას დასჭირდება 1,5 ლ. წყალი, რაც დღეში შეადგენს 120 ლ-ს, რადგან თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის წვიმიანი დღეების რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 130 - წელიწადში, მოედნის რეცხვა მოხდება 235-დღეს წელიწადში, ხოლო წლიურად მოედნის რეცხვისათვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება $28,2 (120 \times 235 \times 10^{-3})$ მ³.

ამდენად, საწარმოო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 28,2 მ³/წელ.

სულ ობიექტის წყლის წლიური ხარჯი იქნება $28,2 + 90 = 118,2$ მ³.

რადგან, ობიექტის განთავსების ტერიტორიაზე არ არსებობს საკანალიზაციო ქსელი, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეკრება და შეგროვება გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოში. ორმოს საასენიზაციო მომსახურება მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

ტექნოლოგიური მოედნის ჩანარეცხი წყლისათვის გათვალისწინებულია მექანიკური გამწმენდი ნაგებობების, ნავთობპროდუქტების დამჭერის მოწყობა. ტექნოლოგიურ მოედანზე მოწყობილია წყლის შემკრები არხები, რომლითაც ჩამდინარე წყლები ჩაედინება ნავთობდამჭერში, გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში. ნავთობდამჭერების გეგმა მოცემულია ნახაზზე 3.4

ტერიტორიის მონარეცხი და საწარმოო მოედანზე მოხვედრილი ნალექების წყლები მიმართული იქნება გამწმენდი ნაგებობისაკენ. გაწმენდის შემდეგ თვითდინებით გადავა გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში, რომლითაც ხდება ტერიტორიული სანიაღვრე წყლების განტვირთვა მდ. რიონში.

სანიაღვრე არხი წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორიებიდან ატმოსფერული ნალექების წყლების შემკრებს და გამტარს, არხი არ არის კერძო მფლობელობაში ან სარგებლობაში.

ტერიტორიის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მოცულობა იქნება: 25,38 მ³/წელ. რადგან ტერიტორიის მორეცხვა მოხდება მხოლოდ მზიან ამინდებში და ხანგრძლივობა არ გადააჭარბებს ერთ საათს, ჩამდინარე წყლის საათურ ხარჯი იქნება 0,108 მ³/სთ.(0,00003 მ³/წმ).

ნალექების შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც: Q - არის სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/წელი

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის სანიაღვრე წყლები მიერთებულია სალექარზე და ტოლია 0,008ჰა.

H -ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა განსახილველი ტერიტორიისთვის, სამშენებლო კლიმატოლოგიის მიხედვით, თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენს 1210 მმ/ წელ, ნალექების მაქსიმალური სადღეღამისო ინტენსივობა შეადგენს 120 მმ-ს.

K- კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, მოცემულ შემთხვევაში, მყარი საფარიათვის =0,264.

$$\text{შედეგად მივიღებთ } Q=10 \times 0,008 \times 1210 \times 0,264 = 25,55 \text{ მ}^3/\text{წელ},$$


$$Q=10 \times 0,008 \times 120 \times 0,264 = 2,53 \text{ მ}^3/\text{დღ}.$$

$$\text{შესაბამისად } 0,105 \text{ მ}^3/\text{სთ}. (0,000029 \text{ მ}^3/\text{წმ}).$$

ამდენად, მშრალ ამინდში ჩამდინარე წყლების ხარჯი იქნება 0,00003 მ³/წმ, ხოლო წვიმიან ამინდში 0,000029 მ³/წმ.

გამწმენი ნაგებობის საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, გაწმენდის შემდეგ შეწონილი ნივთიერებები არ გადააჭარბებს 60 მგ/ლ-ს, ხოლო ნავთობპროდუქტები 5 მგ/ლ-ს.

ჩამდინარე წყლების ჩაშვების სქემა მოცემულია ნახაზზე 5.1.



ნახაზი 5.1.

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკით, ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვ.

6.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

ობიექტის ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელია ჰაერის დაბინძურება:

- ბუნებრივი აირით გამართვისას: მეთანიტა და ეთილმერკაპტანიტ;
- თხევადი აირით გამართვისას: ნახშირწყალბადები და ეთილმერკაპტანი;
- დიზელიტა და ბენზინით გამართვისას ნახშირწყალბადები (ჯამურად).

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) მიხედვით.“

შპს „გია“-ს ბუნებრივი აირით გასამართი სადგურისათვის შემუშავებული და 2018 წლის 09 მარტს სამინისტროსთან შეთანხმებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის მიხედვით წლის განმავლობაში მოსალოდნელია 0.972ტ მეთანის და 0.000022ტ ოდორანტის გამოყოფა, რაც იმდენად მცირეა, რომ არ აჭარბებს ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის მნიშვნელობებს.

ბიზნეს-გეგმის მიხედვით კომპანია წელიწადში შემოიტანს 100ტ თხევად აირს, რაც რეალიზდება ავტომანქანების გამართვაზე.

თხევადი გაზით შემავსებელი პუნქტებიდან ტექნოლოგიური დანაკარგების (ნახშირწყალბადების-პროპან ბუთანის) ნორმები ერთეულ რეალიზებულ თხევად გაზზე შეადგენს 1,15%-ს - თხევადი გაზის ავტოციტერნებში რეალიზაციისას. 1ტ თხევად გაზს უმატებენ 80 გ ეთილმერკაპტანს, დანართი 98].

თხევადი აირის ავტომობილებში რეალიზაციისას ნახშირწყალბადების გაფრქვევა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$G = Q \times p / 100 \text{ ტ/წელ (5.1)}$$

სადაც,

Q - არის წელიწადში თხევადი გაზის ბალონებში რეალიზებული აირის რაოდენობა, ტ;

p - არის ტექნოლოგიური დანაკარგები თხევადი გაზის ბალონებში რეალიზაციისას, %.

გ-1 წყაროდან ხდება 100ტ თხევადი გაზის რეალიზება ავტომანქანების გამართვაზე.

შესაბამისად წლიური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$$G = 100 \times 1,15/100 = 1,15 \text{ ტ/წელ}$$

ხოლო წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 1,15 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3\,600 = 0,037 \text{ გ/წმ}$$

ეთილმერკაპტანის წლიური გაფრქვევა იქნება:

$$G = 100 \times 80/10^6 = 0,008 \text{ ტ/წელ}$$

ხოლო წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,008 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3\,600 = 0,0003 \text{ გ/წმ}$$

თხევადი საწვავის (ბენზინი და დიზელი) მიღება-შენახვა-რეალიზაციისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებები შეადგენს

ა) 1,4 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ ბენზინის საწვავაზე;

ბ) 0,0025 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე.

ობიექტის ბიზნეს გეგმის შესაბამისად ნავარაუდებია წლიურად 160 000 ლ ბენზინის და 200 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

ბენზინისათვის:

$$G = 160\,000 \times 1,4/10^6 = 0,224 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 1,15 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3\,600 = 0,0072 \text{ გ/წმ}$$

დიზელისათვის:

$$G = 200\,000 \times 0,0025/10^6 = 0,0005 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0005 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3\,600 = 0,00002 \text{ გ/წმ}$$

სულ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების წლიური რაოდენობები იქნება:

მეთანი - $G=0.972$ ტ/წელ

ოდორანტი - $G=0.000022$ ტ/წელ

ნახშირწყალბადები - $G=1,3745$ ტ/წელ

ეთილმერკაპტანი - $G=0,008$ ტ/წელ

როგორც გაანგარიშის შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა მცირეა. ამასთანავე ქვეყნის მაშტაბით არსებული გამოცდილება ადასტურებს, რომ ანალოგიური ობიექტების ფუნქციონირებისას არ ხდება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა. გასათვალისწინებელია, რომ ავზები აღჭურვილია დამცავი სარქველებით.

6.2. ხმაურის ზემოქმედება.

ავტოგასამართ სადგურზე არ არის გათვალისწინებული ხმაურწარმოქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსება და გამოყენება. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტის გადაადგილებით, საწვავის შემოტანა/შენახვისა და ავტომობილების გამართვის დროს. დაგეგმილი წარმადობისა და ავზების მოცულობის შესაბამისად, ბენზინის

საწვავის ავზების (თითოეულის) შევსება საჭიროა წელიწადში დაახლოებით 16-ჯერ, ხოლო დიზელის საწვავის ავზების (თითოეულის) - 20-ჯერ. ამდენად თხევადი საწვავის მიღება-შენახვის ინტენსივობა შეადგენს წელიწადში საშუალოდ 36-ს.

თხევადი აირის მიღების ინტენსიობა შეადგენს 10-ს. აღნიშნული ინტენსივობა არ იქნება შესამჩნევი გარემოსათვის. რაც შეეხება საწვავის რეალიზაციას, როგორც წესი სერვისით სარგებლობენ ავტომანქანები, რომლებიც ობიექტის განთავსების მიმართულებით გადაადგილდებიან. გასამართი სადგურის ფუნქციონირება არ იწვევს დამატებითი სატრანსპორტო ნაკადის შექმნას.

რადგან ავტოგასამართი განთავსებულია ქუთაისი-ბაღდათის საავტომობილო გზის მიმდებარედ, ობიექტზე ავტომობილის გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ფონურ მდგომარეობაზე. მითუმეტეს, ტერიტორიაზე 10 კმ/სთ-მდე შეზღუდული იქნება გადაადგილების სიჩქარე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება არ არის მოსალოდნელი.

6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე.

როგორც აღნიშნული იყო შპს „გია“-ს გასამართი სადგური განთავსებულია ქუთაისი-ბაღდათის საავტომობილო გზის დასავლეთ მხარეს. სადგური ფუნქციონირებს 2012 წლიდან. ობიექტის გარეგანი იერსახე შესაბამისობაშია ადგილობრივ ლანდშაფტთან (სურათი 6.1.).

დიზელისა და ბენზინის რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ და ლანდშაფტზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს. თხევადი აირის ავზი შეღებილია თეთრ ფერში და კარგად ესადაგება ადგილობრივ ლანდშაფტს.

ამდენად ობიექტზე თხევადი საწვავის ავზებისა და გასაცემი სვეტების მოწყობა მნიშვნელოვან ლანდშაფტურ ცვლილებას არ გამოიწვევს.



სურათი 6.1.

6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

ობიექტის მოთხოვნილება წყალზე შეადგენს წელიწადში 118,2 მ³-ს. დღეში მაქსიმალურად საჭირო იქნება $(250+120) \times 10^{-3} = 0,370$ მ³ წყლის აღება, რაც ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მიწისქვეშა ჰორიზონტზე, რადგან ტერიტორია მდებარეობს მდ. რიონის ჭალისზედა ტერასაზე და ჰორიზონტის კვება განპირობებულია, როგორც მდ. რიონის, ასევე მდ. წყალწითელას ფილტრაციით. წყალსარგებლობა ხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე, როლის დღიური წყალაღების ლიმიტი შეადგენს 5 მ³-ს. საჭირო წყლის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ლიცენზიით განსაზღვრულზე.

ამდენად წყალაღებით მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოდან ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება შესაძლებელია როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედებით.

არაპირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია ავარიული სიტუაციებისა და გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ნავთობპროდუქტების დაღვრით, ნარჩენების ტერიტორიის გარეთ გაფანტვით.

პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია არასათანადოდ გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებით. ობიექტიდან ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება ტექნოლოგიურ მოედანზე. საოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან.

ავტომანქანების გამართვის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს მოედანზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ჩანარეცხი წყალი შეიკრიბება წყალშემკრები არხით და მიეწოდება ნავთობდამჭერს. გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში, სათანადო გაწმენდის შემდეგ, წვიამიან ამინდში 0,000029 მ³/წმ-ის, ხოლო მშრალ ამინდებში 0,00003 მ³/წმ-ის, ოდენობით.

როგორც მე-3 და მე-5 პარაგრაფებშია განხილული, წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების დამჭერის მოწყობა, რომლის საპროექტო წარმადობა 8-ჯერ მეტია ჩამდინარე წყლის მოსალოდნელ ხარჯზე. გამწმენდი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების სათანადო გაწმენდას.

იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტის ჩამდინარე წყლების ხარჯი მცირეა (0,108 მ³/სთ 0,00003 მ³/წმ), სათანადო გაწმენდის შემდეგ მისი ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვება ვერ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას მდ. რიონის ხარისხობრივ მდგომარეობაზე, რომლის საშუალო ხარჯი ჩაშვების კვეთში 134 მ³/წმ-ია.

რაც შეეხება აგს-ის ექსპლუატაციის ეტაპზე გრუნტის წყლების დაბინძურებას, რისკი ძალიან დაბალია, რადგან მთლიანი ტერიტორია დაფარულია არმირებული ბეტონის ზედაპირით, მიწისქვეშა ავზები განთავსებულია უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით.

ამდენად, თუ ობიექტის მოწყობა-ფუნქციონირების დროს დაცული იქნება უსაფრთხოებისა და გამწმენდი სისტემების ექსპლუატაციის წესები ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ობიექტზე ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია ექსპლუატაციის ეტაპზე, რომლის მართვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

აგს-ზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე. დახურულ შენობაში მოეწყობა სახიფათო ნარჩენების სათავსო, სადაც განთავსდება მარკირებული კონტეინერები.

აგს-ის ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმდება 8 ადამიანი. შესაბამისად წლის განმავლობაში მუნიციპალური ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა იქნება $8 \times 0,73 = 5,84$ მ³, გარდა აღნიშნულისა მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია ტერიტორიაზე მოხვედრილი ადამიანების მომსახურებით, რომელთათვისაც დაიდგმება მუნიციპალური ნარჩენების ურნები. წელიწადში ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა არ გადააჭარბებს დღეში 0,5 მ³ (წელიწადში 180 მ³), რომელიც გატანილი იქნება თერჯოლის მუნიციპალური სამსახურის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალები 15 02 02*; ნავთობის შემცველი ნარჩენები 16 07 08*; ნავთობდამჭერის ლექი 13 05 03*, სალექარის გაწმენის შედეგად მიღებული ნავთობიანი წყალი 13 05 07*). წლის განმავლობაში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ გადააჭარბებს 80 კგ-ს. თითოეული ნარჩენი დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე დახურულ სათავსოში. ნარჩენების განთავსების მიზნით, ისინი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

6.6. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედება

ავტოგასამართი სადგური მოწყობილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც წლების განმავლობაში გამოიყენებოდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ამასთან 2012 წლდან ფუნქციონირებს ბუნებრივი აირით გასამართი სადგური, პროექტირებამდე ტერიტორიაზე განსახილველი ტერიტორია დაფარული იყო არმირებული ბეტონის ფენით.

საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მათზე ირიბი ზემოქმედება მოსალოდნელია ექსპლუატაციის ეტაპზე ობიექტის მიერ ნარჩენების მართვის წესების დარღვევით და გაუფრთხილებლობის შემთხვევაში დიდი რაოდენობით საწვავის დაღვრის შემთხვევაში, რაც კატეგორიულად გამორიცხულია.

6.7. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

როგორც აღნიშნული იყო, ავტოგასამართი სადგური მოწყობილია თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირში, ურბანულ ზონაში. რადგან განსახილველ ტერიტორიაზე 2012 წლიდან ფუნქციონირებს ბუნებრივი აირით გასამართი სადგური და განსახილველი ტერიტორია დაფარული იყო ბეტონის საფარით, ახალი უბიექტის მოსაწყობად საჭირო არ გამხდარა მცენარეების მოჭრა, ან რაიმე მნიშვნელოვანი ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება.

აგს-ის ტერიტორიის მიმდებარედ, მოსაზღვრედ არსებულ საკარმოდამო მიწის ნაკვეთებზე დგას მრავალწლოვანი ხილის ხეები, გაშენებულია აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. გზის ორივე მხარეს დარგულია კაკლის ხეები. ექსპლუატაციის პროცესში აღნიშნულ ხეებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი არ არსებობს.

მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორია ცხოველთა საბინადროდ არახელსაყრელია.

საწარმოს განთავსების ტერიტორიის 500 მ-ის რადიუსში არ არის განლაგებული დაცული ტერიტორია და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

უახლოესი დაცული ტერიტორია, აჯამეთის აღკვეთილი, მდებარეობს სამხრეთით ობიექტიდან 3,5 კმ დაშორებით.

ობიექტიდან სამხრეთით, 3,1 კმ დაშორებით მდებარეობს ანანოვების სასახლე (ყოფილი ვარციხის სამთავრობო რეზიდენცია), რომელიც დღევანდელი სტატუსით წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტს.

ობიექტების დიდი მანძილით დაშორებისა და საპროექტო საწარმოს ტიპისა და მასშტაბის გათვალისწინებით უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

6.8. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება

საპროექტო ავტოგასამართის მოწყობა დაგეგმილია ქუთაისი-ბაღდათი-ბენაროსა და ქუთაისი-ვანის მიმართულებით მოძრავი ავტოტრანსპორტის მომსახურების მიზნით. ორივე გზის მიმართულებით არსებული აგს-ების ქსელის გათვალისწინებით, დამატებითი ნაკადების შექმნა მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ობიექტის ფუნქციონირების პროცესში საჭირო საწვავის შემოტანისას სატრანსპორტო ნაკადების ორგანიზებას, დაგეგმილი საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, ბენზინისა და დიზელის სახეობის საწვავზე შეადგენს წელიწადში 36 - გადაზიდვას (16 ბენზინის საწვავისათვის, 20 დიზელის საწვავისათვის), ხოლო თხევადი აირის შემოტანისას -10. სულ იქნება 46 რეისი. დამატებითი გადაზიდვების ინტენსივობა იქნება: თვეში 4-მდე, კვირაში 1-მდე. რადგან დამატებითი სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობა კვირაში 1-ზე ნაკლებია, ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს არსებული სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობაზე.

6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირება დადებითად აისახება სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (8 ადამიანი), ობიექტზე დასაქმებული იქნება ადგილობრივი მცხოვრები, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დაგეგმილი საქმიანობა (ავტოგასამართი, მარკეტი, სველი წერტილები, ავტო სამრეცხაო) დადებითად აისახება ასევე გზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

კომპანია ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც ასევე დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

6.10 კუმულაციური ზემოქმედება.

განსახილველი ობიექტიდან ჩრდილოეთით 260 მ-ში განთავსებულია თხევადი საწვავით (ბენზინი, დიზელი) გასამართი სადგური (ნახაზი 2.2).

განსახილველი ობიექტიდან კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში ნახშირწყალბადების გაფრქვევით.

განსახილველი ობიექტიდან ნახშირწყალბადების გაფრქვევა მოსალოდნელია 0,04422 გ/წმ ინტენსივობით, რაც ინდენად დაბალია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

260 მ-ში არსებულ ობიექტზე მიმდინარეობს მხოლოდ თხევადი საწვავის რეალიზაცია, შესაბამისად ნახშირწყალბადების გამოყოფის ინტენსივობა გაცილებით ნაკლებია, განსახილველ ობიექტთან შედარებით

ზემოაღნიშნულიდან გამდინარე, ასევე მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით ადგილი არ ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას.

6.11. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.

ობიექტის ადგილმდებარეობიდან და დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის .

6.12. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და სამშენებლო დანადგარების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები, თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება სათანადო უსაფრთხოების ნიშნები. ავტომანქანების გადაადგილების სიჩქარე შეზღუდული იქნება 10 კმ/სთ-მდე. ავტოგასამართი აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას. ობიექტზე ხორციელდება ელდანადგარების, მეხამრიდებისა და დენმიმღები მოწყობილობების დამცავი დამიწების ბუდისა და კონტურის ლაბორატორიული შემოწმება (დანართი. 3)

6.13. ავარიული სიტუაციები.

ავს-ის ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული რისკების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტიშ შესაბამისად.

ავარიის პრევენცია და ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, რომლის მიზანია საწარმოს მომსახურე პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

1. ავტოგასამართი სადგურის ხელმძღვანელი ვალდებულია: უზრუნველყოს „რეგლამენტი“-ს და სამრეწველო უსაფრთხოების სფეროში სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვა; ავტოგასამართ სადგურზე და ავტოგასამართ კომპლექსზე მომხდარი ავარიის და უბედური შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის დანაყოფს.

2. სამუშაოზე დაშვებამდე მომსახურე პერსონალი უნდა გაეცნოს “უსაფრთხოების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტ“-ს და საწარმოო ინსტრუქციას.; წინასაგან განსხვავებულ ახალ სამუშაოზე დაშვებამდე მომსახურე პერსონალმა უნდა გაიაროს შესაბამისი ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკაში. ინსტრუქტაჟს ატარებს სადგურის ხელმძღვანელი ან მის მიერ ბრძანებით დანიშნული პირი და ამას აფიქსირებს სპეციალურ ბარათში ან ჟურნალში.

3. ავტოგასამართი სადგურის პერსონალისთვის განკუთვნილი სათავსები, საოპერატორის ჩათვლით, დასაშვებია გათვალისწინებული იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ან მძღოლებისა და მგზავრების მომსახურების შენობებში. ამასთან, აღნიშნული სათავსები შესრულებული უნდა იყოს ძირითადი შენობის ცეცხლმედეგობის ხარისხის შესაბამისი კონსტრუქციებით.

4. დაუშვებელია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ქვეშ მილსადენების გაყვანა, იატაკქვეშა სივრცის, აგრეთვე, თავისუფალი სივრცის მქონე სხვა მიწისქვეშა ნაგებობების მოწყობა.

შესაძლო ავარიებიდან საწარმოსათვის ყველაზე სენსიტიურია ხანძარი, რომლის ლიკვიდაცია და რეაგირება საჭიროა სათანადო სამსახურთან შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შესაბამისად.

ავტოგასამართის სადგურის პროექტის შედგენა მოხდება უსაფრთხოების მოთხოვნებისა და შპს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად.

- ავტოგასამართ სადგურზე განთავსდება შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა;

ბ) უახლოესი წყლის წყაროების გეგმა-სქემა მანძილების და წყლის წყაროების დებიტების აღნიშვნით;

გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ტერიტორიიდან ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციის გეგმა;

დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები;

ე) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მეხამრიდ სისტემებზე ჩატარებული სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი.

- ავტოგასამართი სადგურების საწვავის რეზერვუარების საწვავით შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მათი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს. წვადი აირების რეზერვუარების შევსების დონე მიწისქვეშა განლაგების დროს არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს, ხოლო მიწისზედა განლაგებისას - 85%-ს.

- ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ძირითად და დამხმარე ტექნოლოგიურ მოწყობილობებს უნდა ჰქონდეთ დაცვა სტატიკური ელექტროობისაგან. რეზერვუარების საწვავით შევსების დროს ავტოცისტერნები უნდა იყოს მიერთებული დამიწების მოწყობილობასთან. მოქნილი დამიწების სადენი მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ავტოცისტერნასთან და გააჩნდეს დამიწების მოწყობილობასთან შემაერთებელი ჭახრაკი ან ჭანჭიკის ბუნიკი.

- ტექნოლოგიური ჭების ლუკების ხუფები, ავტოგასამართი სადგურის კარები და ლუკიები, უნდა იყოს ნაპერწკალუსაფრთხო (შესრულებული ფერადი ლითონებისაგან ან აღჭურვილი ნაპერწკალუსაფრთხო შუასადებებით).

- ავტოგასამართ სადგურებზე და კომპლექსებზე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისას საჭიროა შემდეგი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა:

ა) მოტოციკლებისა და მოტოროლერების ძრავას ამოქმედება და გამორთვა უნდა ხდებოდეს საწვავ-სარიკბელი სვეტიდან არანაკლებ 15 მ მანძილზე, ხოლო ავტომობილები უნდა მოძრაობდნენ თავისი სვლით;

ბ) დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს სორბენტით. სორბენტი და გაზეთილი საწმენდი მასალები უნდა შეგროვდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფების მქონე ლითონის ყუთებში და შევსებისთანავე გატანილ იქნას ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან;

გ) მანძილი გასამართ ავტომობილსა და მის უკან მდგომ ავტომობილს შორის უნდა იძლეოდეს უსაფრთხო მანევრირების და ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობას;

დ) საწვავის ჩასხმა მინის ან პოლიეთილენის ტარაში ანტისტატიკის გარეშე აკრძალულია.

ავტოგასამართ სადგურებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე მოძრავ ავტოგასამართ სადგურებზე დაუშვებელია:

ა) ძრავაჩართული სატრანსპორტო საშუალებების გამართვა;

ბ) მიწისქვეშა რეზერვუარებზე სატრანსპორტო საშუალებების გადატარება, თუ ეს არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიური სისტემების ტექნიკური პირობებით და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციით;

გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეზერვუარების საწვავით შევსება და მომხმარებელზე გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების არსებობის დროს;

დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მომსახურე პერსონალის საწვავით დაბინძურებული და ნაპერწკლების წარმოქმნის საშიშროების მქონე ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მუშაობა;

ე) სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, რომლებშიც იმყოფებიან მგზავრები (მსუბუქი ავტომობილების გარდა);

ვ) საშიში ტვირთის (ასაფეთქებელი ნივთიერებები, შეკუმშული და გათხევადებული საწვავი აირები, ადვილაალებადი სითხეები და მასალები, მომწამლავი და რადიაქტიული ნივთიერებები და სხვა) გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, გარდა ამ მიზნებისათვის სპეციალურად გათვალისწინებული საწვავ-გასამართი პუნქტებისა (მითითებული გამონაკლისი არ ვრცელდება აირის ავზების მქონე ავტომობილის გამართვაზე);

ზ) ტრაქტორების შესვლა, რომლებიც არ არის მოწყობილი ნაპერწკალჩამქრობებით;

თ) სამუშაოების ჩატარება, რომლებიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ავტოგასამართი სადგურის მოწყობილობის, შენობა-ნაგებობების შეკეთებასთან;

ი) საწვავ-სარიგებელი სვეტიდან გამართვა, თუ მათთან ტექნოლოგიური

მილსადენებით დაკავშირებულ რეზერვუარებში ხორციელდება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციები. ამ შემთხვევაში საწვავ-სარიგებელ სვეტებსა ან გასამართ კუნძულებზე (უბნებზე) უნდა გამოიკრას გამაფრთხილებელი ნიშნები;

კ) საწვავის გადასხმა გამართვის დროს;

ლ) სარემონტო და საცეცხლე სამუშაოების განხორციელება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩატარების ადგილიდან 20 მეტრის რადიუსში;

მ) ავტოტრანსპორტის მოძრაობა ავტოცისტერნის მოედანზე ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ან ტექნოლოგიური ჭების სახურავების გახსნის დროს;

ნ) სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება (საწვავით გამართვის გარდა), ტექნიკური მომსახურება ან მძღოლებისა და მგზავრების მომსახურება;

ო) შენობა-ნაგებობების, სათავსების და დანადგარების გამოყენება საპროექტოდოკუმენტაციით განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულების გარდა.

- დაუშვებელია ფეთქებადსაშიშ ზონებში იმ ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია, რომელსაც არ გააჩნია ქარხანა-დამამზადებლის აფეთქებისაგან დაცვის სპეციალური ნიშნები.

- ზონებში, რომლებშიც შესაძლებელია წვადი ორთქლ-ჰაერის ნარევების წარმოქმნა, აკრძალულია:

- ა) ელექტროდანადგარების გამოყენება, რომელთა დამცავი დამიწება და მახლოკირებელი მოწყობილობები გაუმართავია, ხოლო გარსი დაზიანებულია;

- ბ) ელექტრომოწყობილობის კორპუსის დაშლა, თუ მისი დენგამტარი ნაწილები იმყოფება ძაბვის ქვეშ;

- გ) დაცვის აპარატებით ავტომატურად გათიშული ელექტროდანადგარების ჩართვა, მათი გათიშვის მიზეზების დადგენამდე;

- დ) ელექტროდანადგარების ჩართვა გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დაცვის გარეშე;

- ე) დამცველების დნობადი არაკალიბრებული ნაწილების, აგრეთვე თბური რელეების გამახურებელი ელემენტების გამოყენება;

- ვ) ნაპერწკალუსაფრთხო ხელსაწყოების კვების წყაროებში სხვა აპარატების ან წრედების მიერთება, რომლებიც არ შედის აღნიშნული ხელსაწყოს კომპლექტში.

- ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ტერიტორიაზე, შესასვლელთან, უნდა იყოს გამოკრული ტერიტორიაზე მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. შემსვლელი და გამომსვლელი ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტები არ უნდა იკვეთებოდეს.

- ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული შესაძლო ხანძარსაშიში სიტუაციების, მათი განვითარების სცენარის, ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსის მომსახურე პერსონალის და ავტოცისტერნის მძღოლის მოქმედების, აგრეთვე ხანძრის გავრცელების შესაბამის სტადიებზე ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის მომსახურე პერსონალის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან ურთიერთმოქმედების წესის გათვალისწინებით.

- ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა გადამუშავდეს ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეკონსტრუქციის ან/და გადაიარაღების, მოწყობილობის ტექნოლოგიის, საპროექტო-გეგმარებითი გადაწყვეტების, ექსპლუატაციის წესის შეცვლის დროს, აგრეთვე სხვა ავტოგასამართ სადგურებზე ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების წარმოშობის შესახებ ახალი მონაცემების არსებობისას.

- ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსების მომსახურე პერსონალს და ავტოცისტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ უნდა ჩაუტერდეს ტრენინგები ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, თითოეული კონკრეტული სიტუაციის გავარჯიშებით და შესაბამისი შედეგების სპეციალურ ჟურნალში დარეგისტრირებით. ზემოაღნიშნული წესებისა და მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ავარიული სიტუაციების აღმოცენებისა და გავრცელების რისკი იქნება ძალიან დაბალი.

დაწარტებო

დანართი1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მანის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდა **N 33.01.35.133**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023022029 - 13/01/2023 14:19:35

მომზადების თარიღი
18/01/2023 11:33:23

საკუთრების განყოფილება

ზონა თერჯოლა	სექტორი კვახჭირი	კვარტალი 35	ნაკვეთი 133	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 3812.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 33.01.35.131; 33.01.35.132;
მისამართი: რაიონი თერჯოლა , სოფელი კვახჭირი				შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/1- არასაცხოვრებელი, საერთო ფართი-233.85კვ.მ.; N02/1- დამხმარე; N03/1-დამხმარე

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882012380390** , თარიღი **26/07/2012 13:30:07**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **26/07/2012**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამონშების თარიღი:24/07/2012 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიწებით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ" 4 მუხლი, "ბ" პუნქტი
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამონშების თარიღი:18/07/2012 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს "გია" , ID ნომერი:412684723

მესაკუთრე:

შპს "გია"

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882013051583** თარიღი **08/02/2013 16:27:14**

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი" 204378869;
მესაკუთრე: შპს "გია" 412684723;

საგანი:თერჯოლა, სოფელ კვახჭირში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი-3812.00კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობები: N01/1-არასაცხოვრებელი, საერთო ფართი-233.85კვ.მ.; N02/1-დამხმარე და N03/1-დამხმარე;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი **13/02/2013**

იპოთეკის ხელშეკრულება **N507504-5**, რეესტრის ნომერი **N130109045**, დამონშების თარიღი**08/02/2013**, ნოტარიუსი ა. ჯამბურძიძე

საკადასტრო გირავნობა:

- საკადასტრო გირავნობა/იპოთეკა: **102022614872 16/12/2022 13:56:16**
შპს შპს გია ს/ნ **412684723**
საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
საფუძველი: შეტყობინება, **N02120656, 16.12.2022**, შემოსავლების სამსახური

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882023022029** თარიღი **13/01/2023 14:19:35**

შოიჯარე: შპს "რეპსოლი" 405074128;
საგანი:დაზუსტებული ფართობი: 3812.00 კვ.მ.;
საბოლოო თარიღი:01/01/2033;

იჯარის ხელშეკრულება თერჯოლის ბენზინგასამართი სადგური , დამონშების თარიღი**13/01/2023**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყადალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამეზობლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში ნარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. მერიის წერილი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 28-282301312
თარიღი: 13/01/2023

ადრესატი: შპს გია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412684723
მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ბუხაიძის ქ., II მ/რ.,
№19/54

შ.პ.ს. „გია“ დირექტორს
იოსებ ჯარნაძეს

ბატონო იოსებ,

თქვენი მიმდინარე წლის 09 იანვრის 10/282300974-28 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვანჭირში შ.პ.ს. „გია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.01.35.133) თხევადი აირისა და თხევადი საწვავის ავზების განთავსების თავსებადობას მუნიციპალიტეტის განაშენიანების გენერალურ გეგმასთან, გაცნობებთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტს განაშენიანების გენერალური გეგმა არ აქვს.

მანუხარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოვალეობის შემსრულებელი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



2400 ქ. თერჯოლა. რუსთაველის ქ. N109, ტელ. 0491 24 44 64,
109, Rustaveli Str. Terjola. Tel: 0491 24 44 64 Email: info@terjola.gov.ge

დანართი 3. ელდანადგარების, მეხამრიდებისა და დენმიმღები მოწყობილობების დამცავი დამიწების ბუდისა და კონტურის ლაბორატორიული შემოწმება.

ტექნიკური ანგარიში

სურსათი ვ.პ.

ელ. დანადგარების, მეხამრიდების და
დენმიმღები მოწყობილობების
დამცავი დამიწების ბუდისა და კონტურის
ლაბორატორიული შემოწმება


ტელ: 514 04 42 09

599 32 50 25

ობიექტი: *სსს ვაი*

მისამართი: *თბილისი რაიონი, ვაკე რაიონი*

გაზომვის თარიღი: *14.01.2022*

 შპს "უსაფრთხოება"	საგამოცდო ლაბორატორია
	ქ. თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა ს/კ 406041135



დამკვეთი: *ქ. მანაგაძე*

მისამართი: *თბილისი, ვარკეთილის მეურნეობა*

დამიწების წრედებისა და განშტოებების გაზომვა
 ოქმი №

1	გაზომვის თარიღი	
2	გრუნტის დამახასიათებლობა (თიხნარი, ქვიშა, ნიადაგი, მსხვილნაწეხი)	<i>04.01.2022</i>
3	ამინდის მდგომარეობა ბოლო 3 დღის განმავლობაში	<i>7.20</i>
4	ამინდის მდგომარეობა გაზომვის დღეს (მზიანი, ღრუბლიანი, ცვალებადი, წვიმა, თოვლი)	<i>2.00</i>
5	ტემპერატურა გაზომვის დღეს	<i>10.00</i>
6	დასამიწებელი მოწყობილობის კვეთი	<i>3.20/1.00</i>
7	საკონტაქტო შეერთება	<i>5.00</i>
8	კოროზიული მდგომარეობა	<i>5.00</i>

№	შესამოწმებელი ობიექტი დამცავი დამიწების გამოკვეთვა განშტოებებით, წინააღმდეგობის გამოცდა	დასაშვები წინააღმდეგობა ომებში R _დ ომებში		შენიშვნა
		ნორმით	ფაქტიურად	
	<i>გამოწმების</i>	<i>4.0</i>	<i>3.1</i>	
	<i>იჭმის ქსოვი</i>	<i>4.0</i>	<i>3.1</i>	
	<i>გამოწმების</i>	<i>4.0</i>	<i>3.1</i>	
	<i>კონტაქტის</i>	<i>4.0</i>	<i>3.1</i>	
	<i>კონტაქტის</i>	<i>4.0</i>	<i>3.1</i>	
	<i>კონტაქტის</i>	<i>4.0</i>	<i>3.1</i>	
	<i>კონტაქტის</i>	<i>4.0</i>	<i>3.1</i>	

გ/ს დასახელება	ტიპი	საქარხნო N	გაზომვის დიაპაზონი	გაზომვის განუსაზღვრელი. Ω	დაკალიბრ. სერტიფიკატი	მომდევნო დაკალიბრების თარიღი
დამიწების წინააღმდეგობის მზომი	M-416	398155	0,1÷1000 Ω	$U = k \cdot I_{\Sigma} = 0.184 \Omega$	შპს საქართველოს მეტროლოგიის ცენტრი GMC-CC-00221/1-20	02.09.2021წ.

შენიშვნა:

გაზომვის მონაცემების შეფასება: გამოცდები ჩატარებულია ნორმატიული მეთოდით და აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

1. გოსტი 12.1030-81 ელექტრო უსაფრთხოება, დამცავი დამიწება. დანულება.
2. PD 153-34.0-20.525-00 მეთოდური მითითებები ელ. მოწყობილობების დამცავი დამიწების მდგომარეობის შესახებ.
3. US-TL - MP-7.2 "მეთოდები და პროცედურები"
4. ПУЭ (მოსკოვი 1987წ.) ელექტრო დანადაგრების მოწყობის წესები.
5. ИТЭ (მოსკოვი 1987წ.)

გამოცდები ჩატარა:

ქ. მანაგაძე

ს. კილიძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი:


გ. მუხომანი



დანართი 4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 12 დეკემბრის N28.282235611 ბრძანება შპს „გია“-ს უნებართვო მშენებლობის წარმოებისათვის დაჯარიმების შესახებ.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ28. 282235611
თარიღი:22/12/2022

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვანჭირში შ.პ.ს „გია“-ს (ს/ნ 412684723) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/გ 33.01.35.133) უკანონოდ ავტოგასამართი სადგურის ფარდულის ნაგებობის მშენებლობის მწარმოებლის დაჯარიმების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის „ე“ პუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსი“-ს 126-ე მუხლის და ამავე კანონის 130-ე მუხლის, პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქ. II მ/რ. №19/54-ში მდებარე შ.პ.ს „გია“-ს (ს/ნ 412684723) მიმართ, მიმდინარე სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების მასალებისა და ზედამხედველობის სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის მამუკა აბესაძის მოზსენებითი ბარათების (06-282236910; 15.12.2022წ) (06-282235513; 21.12.2022წ) საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. ქალაქი ქუთაისი, ბუხაიძის ქ. II მ/რ. №19/54-ში მდებარე შ.პ.ს „გია“ (ს/ნ 412684723) დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით, როგორც უკანონოდ მშენებლობის მწარმოებელი და ამავდროულად დაევალოს არსებული დარღვევის გამოსწორება. ჯარიმის გადახდა განხორციელდეს წინამდებარე ბრძანების სამართალდამრღვევზე ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 2. ჯარიმის თანხა ჩაირიცხოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე. ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300203263 შემოსავალი არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.

მუხლი 3. დამრღვევის მიერ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება სამართალდამრღვევისათვის საურავის დაკისრების შესახებ.

მუხლი 4. ბრძანების შესასრულებლად კონტროლი განახორციელოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა.

მუხლი 5. ბრძანება ჩაბარდეს ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურში მცხოვრებ, შ.პ.ს „გია“-ს (ს/ნ 412684723) დირექტორს იოსებ ზარნაძეს (პ/ნ 17001001175) და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

მუხლი 6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის, მიერ მისი ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7)

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერის
მოვალეობის შემსრულებელი (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



2400 ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109, ტელ. 0491 24 44 64,
109, Rustaveli Str. Terjola. Tel: 0491 24 44 64 Email: info@terjola.gov.ge